

ახალი თაობა



3 ლექსიდან
„ახალ თაობასთან“ ერთად
 ქართული ლექსების. ტომი 12
 მათა ბურჭულაძე
ახუსერიძეების
საბა
 ფასი გაზეთთან ერთად - 5 ლარი

პარასკევი, 4 დეკემბერი, 2015

№285 (6905)

ფასი: 50 თეთრი

მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების რეგისტრაცია აიკრძალება 2016 წლის მარტიდან მათი შემოყვანა შეიზღუდება



გვ. 2

„მარჯვენასაჭიანი მანქანებს მარცხენასაჭიანი ამორტიზებული ავტომობილები ჩაანაცვლებენ“

ლარიბაშვილი უშიშროების საბჭოს დღევანდელ სხდომას არ დაესწრება



პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დღეს ჩანიშნულ ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომას არ დაესწრება. ინფორმაცია ამის შესახებ პრემიერის ადმინისტრაციაში დაადასტურეს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციაში დღეს, 16:00 საათზე, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართება.

უშიშროების საბჭოს სხდომის მთავარი თემა არსებული და გაზრდილი რისკებიდან გამომდინარე თავდაცვის ორგანიზებასთან დაკავშირებული ღონისძიებები იქნება.

შეტყობინება უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივ წევრს გაეგზავნა, თუმცა მათი მხრიდან დასწრების დადასტურებას პროცედურა არ ითვალისწინებს.

ქვეყანაში არყოფნის გამო სხდომას საგარეო უწყების ხელმძღვანელი გიორგი კვირიკაშვილი და საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე ვერ დაესწრებიან.

ეროვნული უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები არიან: პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, საგარეო საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, შს მინისტრი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი.

ზუსტი ინფორმაცია, ვინ დაესწრება უშიშროების საბჭოს სხდომას, ჯერ-ჯერობით უცნობია.



გია ხუსბუილი: „ხელისუფლებას ნარკოტიკის მოხსნის ფუფუნება არ აქვს“

გვ. 4



„სააკაშვილი იაცანიუკის თვალთვალში გამოიჭირას“

გვ. 3

ტრისტან ნითელაშვილი: „საერთაშორისო ცუციკი თითს არ უნდა უქიციანებდეს“



„ილაშის შავი ღროვის ქონა ილაშური სახელმწიფოს მხარდაჭერას არ ნიშნავს“



სულხან ბორძიკაშვილი: „პანკისის მოსახლეობა შენუხებულა“



საკონსტიტუციო სასამართლო კანონით დადგენილ ფარგლებს გასცდა

გვ. 5



მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების რეგისტრაცია აიკრძალება 2016 წლის მარტიდან მათი შემოყვანა შეიზღუდება



არასამთავრობოების სასამართლოში იჩივლებენ

შემოდის მანქანების სავაჭრობის ტექნიკური

მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების რეგისტრაცია აიკრძალება. როგორც უნდა იქნებოდა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა...

ნაწილებით ვაჭრობა და, ასეთი მანქანების იმპორტის შემთხვევაში, მფლობელს შეუძლია, დაშალოს იგი, ვინაიდან რეგისტრაციაში არ გატარდება. გიორგი მღებრიშვილმა ხაზი გაუსვა, რომ სტატისტიკა საგანგაშოა, ვინაიდან, 2015 წლის მონაცემებით, მარჯვენასაჭიანი მანქანების იმპორტი საქართველოში 50%-ს გაუტოლდა. ასეთი რამ მსოფლიოს 2 ქვეყანაშია, სადაც მარჯვენასაჭიანი მანქანებით არის ნებადართული გადაადგილება...

ლოდ, იმ თარიღის შემდეგ, რაზეც ჩვენ შევთანხმდებით, მსგავსი მანქანების რეგისტრაცია აიკრძალება. პრემიერმა ლარსაშვილმა სხდომაზე დაგეგმილ შეფასებას მარჯვენასაჭიანი ავტომანქანების რეგისტრაციის აკრძალვის ინიციატივა, რისთვისაც შს მინისტრს მადლობა გადაუხადა. პრემიერმა ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერების აუცილებლობაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში საზოგადოებას წარუდგენს გეგმას ტექნიკურ დათვალიერებასთან დაკავშირებით. ჩვენ შემოვიტანთ დაზღვევებსა და სავალდებულო ტექნიკურ დათვალიერებას, მაგრამ ამას სჭირდება დროსა და სივრცეში დანახვა...

მდგომარეობით ხსნიდა. შს-ს მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხში სამთავრობო უწყებებთან ერთად შემუშავებული პროექტის მიხედვით, 2016 წლის მარტიდან მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტი შეიზღუდება. როგორც საკითხის კომენტირებისას შს მინისტრის მოადგილე, შალვა ხუციშვილმა განაცხადა, არ იზღუდება საქართველოში უკვე რეგისტრირებული მარჯვენასაჭიანი ავტომობილების გაყიდვა და ექსპლუატაცია. თუ თქვენს სახელზე დარეგისტრირებულია მარჯვენასაჭიანი ავტომობილი, არაფერი გზღუდავთ, რომ გაყიდოთ. პირველი მარტის შემდეგაც გაყიდვა არ იზღუდება. იზღუდება მხოლოდ შემოყვანილი და ახალი მანქანის რეგისტრაცია, - აღნიშნა ხუციშვილმა. აიკრძალება საჭეგადატანილი მანქანების რეგისტრაცია, რადგან, როგორც შს მინისტრის მოადგილემ განაცხადა, ასეთი ავტომობილები ტექნიკური დათვალიერებას დიდი ალბათობით ვერ გაივლიან.

„მარჯვენასაჭიან მანქანებს მარცხენასაჭიანი ავტომობილები ავტომობილები ჩაანაცვლებენ“

მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვას ავტომობილის იმპორტიორები, რომლებსაც „კომერსანტი“ ესაუბრა, არ ეთანხმებიან და აცხადებენ, რომ ეს რეგულაცია ბაზარზე სიტუაციას გააუარესებს. კავკასიის ავტომობილის დირექტორი გიორგი სურგულაძე აცხადებს, რომ ქვეყანაში მარჯვენასაჭიანი ავტომობილები შესაზღვრადია, თუმცა, იმ მიდგომით არა, როგორც მთავრობა აპირებს. მისი თქმით, მარჯვენასაჭიანი მანქანები ძირითადად იაფფასიანი სემენტისთვისაა. გამომდინარე აქედან, ეს ადამიანები ალტერნატივას მოძებნიან და ასეთ მანქანებს ევროპიდან ჩამოყვანილი მარცხენასაჭიანი ავტომობილები შეესაბამება, თუმცა, იმ მიდგომით არა, როგორც მთავრობა აპირებს. ჩვენი აზრი იყო, რომ შემოეღოთ ევრო 4-ის სტანდარტი, რომელიც ავტომობილებს შეზღუდვას იაპონურ და ევროპიდან შემოყვანილ ავტომობილებს მანქანებს. ასეთი სახით შეზღუდვას აზრი არ აქვს, შედეგად, ქვეყანაში უარეს მდგომარეობას მივიღებთ, - აცხადებს სურგულაძე. მისი განმარტებით, მთავრობის ამ ტიპის შეზღუდვა კავკასიის ავტომობილის საქმიანობას არ შეაფერხებს, რადგან კომპანიას იაპონიიდან ცოტა ავტომობილი შემოჰყავს, თუმცა სხვა ავტომობილიორებს ბევრად დაზარალებს. ავტომობილის კომპანია ჯეო-ავტომობილის ხელმძღვანელი ნიკოლოზ როსტიაშვილი აცხადებს, რომ ეს ისეთი გადაწყვეტილებაა, რომელიც მის და მისიან ბიზნესს დაზარავს. მისი თქმით, დღეს ხალხი სილატაკის ზღვარზეა, ამიტომ ქვეყანა ჯერ ეკონომიკური კრიზისიდან უნდა გამოსულიყო და მსგავსი კანონები მერე მიეღოს. ვთქვათ, მე მინდა, მყავდეს 2008-წლიანი იაპონური მანქანა მარჯვენა საჭით და არ მინდა ამერიკული ჩაძირული მანქანა. ამ ყველაფერს კი მიკრძალავენ. ჩვენ თუ გვინდა, გარემო დავიცვათ და ავტომობილები შევამციროთ, მარჯვენასაჭიანი ავტომობილები კი არ უნდა ავკრძალოთ, არამედ სოციალური მომსახურების სააგენტომ ცუდ მძღოლებზე აღარ უნდა გასცეს მართვის მოწმობები, - აცხადებს როსტიაშვილი. ავტოექსპერტი დავით მესხიშვილი ამბობს, რომ მთავრობის ეს გადაწყვეტილება ბიზნესს ყველა შემთხვევაში დაზარალებს. მისივე ინფორმაციით, შსს ამ-



ზადებს ცვლილებას, რომლის მიხედვით, განბაჟების სისტემა შეიცვლება. კერძოდ, ძველი ავტომობილების განბაჟება ახალზე ბევრად ძვირი იქნება. შესაბამისად, ეს შექმნის დისკომფორტს. სოფო ქსოვრელი, კომერსანტი

„მარჯვენასაჭიანი მანქანების ფასი დაეცემა“

მთავრობის გუშინდელ ინიციატივებთან დაკავშირებით „ახალი თაობა“ რამდენიმე მძღოლს გაესაუბრა: თამაზ ოსეფაშვილი, ტაქსის მძღოლი: - ტექნიკური დათვალიერება აქამდეც უნდა ყოფილიყო სავალდებულო. გასულ წელს ქალაქი ვადაგასული, გაუმართავი ავტომანქანებით. მთელი ევროპის ნაგავი აქაა გასაღებული. ბოლოს და ბოლოს, დამყარდება კონტროლი. ავტომანქანის ტექნიკურ დათვალიერებასთან ერთად, ბენზინზეცაა საჭირო კონტროლი და შემოწმება. იქაც სვლავ. ამას ემატება გაუმართავი მანქანები და ინამლება ქვეყანა. 25 წელია, ვტახტავთ და ჯერ არ მახსოვს, გაუმართავი მანქანით გამოვსულიყავი სატაქსაოდ. ისეთ მანქანას დაინახავ, გული გაგისკდება კაცს. - ტექნიკური დათვალიერება თანხებთან იქნება დაკავშირებული, ყველა მძღოლს დათვალიერების ჩატარება შეეძლება. - ისეთი ფასი არ უნდა დაანელოს, რომ მძღოლი ვერ შესწვდეს მის გადახდას. ადრე 48 ლარზე იყო საუბარი. ახლა რას დაანელებენ, არ ვიცი, მაგრამ არც 48 ლარია ისეთი ფასი, რომ, თუ მანქანი ტაქსაოდ, ეს თანხა ვერ გადაიხდა. - მარჯვენასაჭიან ავტომანქანებზე რას იტყვიან, რატომ აკრძალეს მარჯვენასაჭიანი მანქანები? - ვერ გეტყვი, რატომ აკრძალეს მარჯვენასაჭიანი ავტომანქანები. ამბობენ, ბევრი ავანია მოდის მათზე. მარჯვენასაჭიანი მანქანებით გასწრება კი ცოტა უფრო რთულია, მაგრამ მოხვედრის დროს ერთგვარი უპირატე-

სობაც აქვთ. ავარიის მიზეზი მარჯვენა საჭე კი არა, მართვის უცოდინრობაა. ახალბედა მძღოლები ყიდულობენ მარჯვენასაჭიან მანქანებს და ავარიებიც იმათ მოსდით, თორემ ძველი, ნაცდი მძღოლი მაგ მანქანას არ იყიდის. ილია ბუთხუზი: - ყველას ახსოვს, ეს ტექნიკური დათვალიერება ფულის კეთების ადგილი იყო და ისევ ისე იქნება. როგორ გაატყავონ ხალხი, როგორ ამოიღონ ფული, აღარ იციან. არჩვენები მოახლოვდა და ფული დასჭირდა. მთელი დღე გამოსული ვარ, ორ გროშს ძლივ ვშოულობ და, ახლა კიდევ რას დაანელებენ ამ ტექნიკური დათვალიერების საფასურად, ვინ იცის. - კი მაგრამ, გაუმართავი მანქანების გამოწვევით პაერი რომ ფუტყდება? - გამოწვევით მინც იქნება. მაგათ ბენზინი შეამოწმონ, მთელ მსოფლიოში დაწეულია ბენზინის ფასი და ჩვენთან არ გაიფარდა. ამხელა ფასს ვინდით და რას ვასხამთ მანქანაში, კაცმა არ იცის. - მარჯვენასაჭიანი მანქანების აკრძალვას რას იტყვიან? - ეგ მანქანები კი ასაკრძალია, მოსიარულე სიკვდილია. ბრმა დაღიხარ გასწრებაზე, ვერაფერს ხედავ, დაინახავ და უკვე გვიანია. ჩემმა მეზობელმა იყიდა ერთი თვის „ტოტოტა ვიტსი“, ვერ შეეგუა, გაყიდვასა და სხვა მანქანის ყიდვას აპირებდა. დაეიდან კი, ალბათ, დაეცემა ფასები მარჯვენასაჭიან მანქანებზე. ვინც მოასწრო გაყიდვა, შერჩა, ვინც არა და დაზარალდება. ლალი დავითური

პარლამენტის წევრის დავით საგანელიძის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი ჩაანაცვლებს



პარლამენტის წევრის დავით საგანელიძეს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე გია ვოლსკი ჩაანაცვლებს. ამის შესახებ განაცხადი შედგენილია უმრავლესობის სხდომის დასრულების შემდეგ გახდა ცნობილი. უმრავლესობის სხდომაზე საარჩევნო კომისიის განხილვის სხდომის დასრულების შემდეგ უმრავლესობის ლიდერმა ზვიად კვაჭანტირაძემ განაცხადა, რომ მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრებთან დაკავშირებით პარლამენტში ინიცირებულ პროექტში ცვლილებები განხორციელდება. ნიუსბურსი

„სასამართლოში ვიჩივლებთ“

თუ საქართველოს პარლამენტი მხარს დაუჭერს კანონპროექტს მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვასთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაცია ეკოტრანსპორტ ცენტრი აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებას საკონსტიტუციო და ევროპის სასამართლოში აპირებს. - აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კონსტიტუციას და ზღუდავს ადამიანის არჩევანის თავისუფლებასა და საკუთრების უფლებას, ასევე, ეწინააღმდეგება საქართველოს საკანონმდებლო საბჭოს თავისუფალი მიმოქცევის შესახებ, - ნათქვამია ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.



ახალი თაობა დამფუძნებლები: ნინო ბაჭყალიძე, ზურაბ ბერიძე, სოლო გოგინაშვილი მთავარი რედაქტორი - სოლო გოგინაშვილი რედაქტორი - ლალი ასლანიშვილი რედაქტორის მოადგილე - შორენა მარსაგვილი განთავსებულია: კონსულტანტები: ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი საფინანსო სამსახური - ჯორჯ ბალაგაძე სარეკლამო სამსახური - 2-94-02-55 გავრცელების სამსახური - მერაბ ლევინაშვილი დირექტორი - ზურაბ ბერიძე მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული. ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91 ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგისტრირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე განთავსდება სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიებში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



„სააკაშვილი იასანიუკის თვალთვალში გამოიჭირას“

შორენა მარსაგიშვილი

ჩამი გამოიჭიხეს უკრაინელებმა და ამეჩიხებენ სააკაშვილი, ვის უთვალთვალენდენ ყოფილი მალაჩინოსნები, ხატომ „გადაადგომ“ ყოფილმა პრეზიდენტმა თავისი თანაგუნდელები და ხას აპიხებენ ისინი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამხედრო ექსპერტი ტიხისტან ნითელაშვილი ესაუბრება.




ოდესის გუბერნატორს ბევრი უსიამოვნება ელოდება. ვაშაძეს ასეთი კომპრომატები არ აქვს და ის ცუციკის ძახილით შემოიფარგლა. დარწმუნებული ვარ, ცუციკის გარდა ბევრად უფრო მძიმე სიტყვებს იხმარდა.

- რატომ „გადაადგომ“ სააკაშვილმა ეს ხალხი? ისინი რომ მისი თანამებრძოლები იყვნენ.
- ნაპრეზიდენტულს მართლა სურდა მათი უკრაინაში წაყვანა, მაგრამ იქ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.
- სხვაგვარად როგორ?
- როგორ და უკრაინელებმა მას ნილაბი ჩამოსხნეს. დღეს ყველა იცის, რას წარმოადგენს ის სინამდვილეში. აქედან გამომდინარე, სააკაშვილს დიდ გასაქანს აღარ მისცემენ. უკრაინელები განსაკუთრებით იმან გააღიზიანა, რომ ამ კაცმა პრემიერის პოსტის დაკავება მოინდომა. ამ მიზნის მისაღწევად მან უკადრებელი იკადრა.
- კონკრეტულად რა იკადრა?
- ალბათ, გასოვთ პეტრია, რომლითაც პოროშენკოს მიმართეს, სააკაშვილი ქვეყნის პრემიერად დანიშნეო. მან ამ პეტრიაზე ხელმოწერები გააყალბა.
- გაყალბება ოფიციალურად დადასტურდა?
- რა თქმა უნდა, დადასტურდა ეს უტყუარი ცნობა და ის ჩემმა უკრაინელმა კოლეგებმა მომანოოდეს. ამ ამბის გავრცელებას მძიმე რეაქციები მოჰყვა.
- მაინც როგორ გააყალბა?
- როგორც აქ აყალბებდა არ-

ტრისტან ნითელაშვილი: „საერთაშორისო ცუციკი თითს არ უნდა უქიციანებდეს“

ჩვენებს. ამაში ეგ და მაგისი გუნდი მაგრად არიან დაოსტატებული. უკრაინელებმა კი გაყალბების სქემა გაუ-



შიფრეს. დღეს მას უკრაინელები უკვე როგორც პოლიტიკურ გეგმს, ისე აღიქვამენ.

- პოლიტიკურ გეგმად როგორ აღიქვამენ, ყველა ტოკშოუსი ეგ ჰყავთ მინვეული.
- მერე რა, რომ ინვევენ. იმ შოუსი ხან სცემენ და ხან სხვა რაღაცას უშვებენ. თავისუფლად ქუჩაში ვეღარ გამოდის. ცოტა ხნის წინ მის წინააღმდეგ ახალი ორგანიზაცია შეიქმნა. მას უკრაინული პატრიოტული ორგანიზაცია ჰქვია.
- კოლონისკი ხომ არ დგას ამ პატრიოტების უკან?
- არა, ისინი ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან, რომლებსაც არ სურთ, სააკაშვილისნაირი ვამპირები უკრაინას დაეპატრონონ. სააკაშვილი აპირებდა უკრაინის ხელისუფლების ხელში ჩაგდებას, მაგრამ დროულად გააჩერეს.
- მას ისლამური სახელმწიფოს ტერორისტებთან აქვს კავშირი. ეს რამდენიმე ტერორისტი სწორედ ნაპრეზიდენტის დაგვალეებით მოამზადეს და შემდეგ სირიაში გადაიხროლეს.
- როდის და სად მოამზადეს ეს ხალხი?



საკაშვილი აღარ მალავს, რომ უკრაინის პრემიერობა უნდა. მასზე უამრავი ინფორმაცია მოაგროვა და ცდილობდა, რამეში გამოეყრილა. თავისი მიზნის მისაღწევად მან უკრაინის პრემიერზე თვალთვალც კი დაანესა.

- ამის უფლება ჰქონდა?
- არ ჰქონია.
- აბა, რანაირად დაანესა თვალთვალი?
- როგორც აქ უთვალთვალდება თავის ოპონენტებს, ისევე დაუნყო იაციუხს თვალთვალი. ამაში მას საკმაოდ დახელოვნებული ხალხი ჰყავს. ეს ადამიანები სააკაშვილმა უკრაინაში წაიყვანა, ისინი უსმენდნენ და უთვალთვალდნენ პრემიერს, მაგრამ ის გამოიჭირეს და ეს გეგმაც ჩაუვარდათ.
- თუ დაატყო, რომ შანსები არ აქვს, ნავა ოპოზიციაში, იტყვის, ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ უკრაინის ხელისუფლება ჩემი რეფორმებისთვის მზად არ აღმოჩნდაო. მაგისი რეფორმებისგან ყველა ქვეყანა ღმერთმა დაიფაროს.
- სააკაშვილის რეფორმა იცით, რა არის – წამება და კაცების გაუპატიურება. ამას უკრაინელები არ დაუშვებენ. თუმცა მან პირდაპირ რეფორმების კარგად იცის და, შესაძლოა, უკრაინელი პოლიტიკოსებიც აიყოლიოს.
- უკრაინელებსაც თუ აიყოლიებს, მაშინ რაღაც შანსები ჰქონია.
- არ დაუფეროთ, შანსები მაგას არა აქვს. მას გვერდით ხელისუფლებაზე განაწყენებული რამდენიმე პირი დაუდგება. უკრაინაში ნაციონალისტ ალარავინ გააჩერებს.
- სააკაშვილი აქ ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ მაგარი იყო, თორემ უკრაინაში, ვაშაძისა არ იყოს, ცუციკით არის. შეტყავე გეტყვით, ის არის საერთაშორისო ცუციკი და გულსატკეპნია, რომ ის საქართველოს ხელი-სუფლებას თითებს უქიციანებს. მალე საქიციანოდ აღარ ექნება საქმე. მას სასამართლოს წინაშე წარადგენენ.

ელისო კილაძე ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა



გაზეთ „ქრონიკა +“-ის რედაქტორმა ელისო კილაძემ თბილისის საქალაქო სასამართლოში ყოფილ პრემიერ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა.

კილაძე ყოფილი პრემიერ-მინისტრისგან ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში მის მიმართ წარმოთქმული ბრალდებების უარყოფას ითხოვს.

- დამოუკიდებელ მედიაზე ზენო-ლა მოდური გახდა ამ ქვეყანაში. ვისაც არ ეზარება, ყველას შეუძლია, ეს განცხადებები გააკეთოს, – აცხადებს ელისო კილაძე.
- რუსთავი 2-ის ცნობით, ჟურნალისტმა საქალაქო სასამართლოში საჩივარი ლადო ბუდუკაძისა და სააკაშვილი თბილისი 24-ის წინააღმდეგაც შეიტანა.

ზვიად ძიძიგური: „ომავალ არჩევნებში ბიძინა ივანიშვილი აქტიურად ჩაერთვება“

პარლამენტის ვიცე-სპიკერ ზვიად ძიძიგურის განცხადებით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი კვლავ ყოფილი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი იქნება.

- ზვიად ძიძიგურმა ამის შესახებ გუშინ, 3 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.
- ძიძიგური აღნიშნავს, რომ ყოფილი პრემიერი არჩევნებში იმ კონფიდურაციით ჩაერთვება, რა კონფიდურაციითაც მიიღო მონაწილეობა „ქართულმა ოცნებამ“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში.
- ზვიად ძიძიგური: ბიძინა ივანიშვილის ჩართულობა მომავალ არჩევნებში იქნება ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი. ჩვენ იმედი გვაქვს და თავად ივანიშვილმაც არაერთხელ განაცხადა, რომ ის 2016 წელს იქნება აქტიური პარლამენტის არჩევნებში. ეს არ ნიშნავს, რომ ის რიგითად ჩაერთვება, ვფიქრობ, ეს აქტიურად ჩართვას ნიშნავს. ივანიშვილი არჩევნებში იმ კონფიდურაციით ჩაერთვება, რა კონფიდურაციითაც ჩვენ 2012 წელს მივიღეთ მონაწილეობა ანუ ლიდერის ადგილი ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის.



ნოესბრესი

მლეთა-ღარილის მონაკვეთზე ტრაილერების მოძრაობა შეიზღუდა



ინტენსიური თოვისა და ლიპკინის გამო მცხეთა-სტეფანწმინდა-ღარილის საავტომობილო გზის კმ80-კმ136 (მლეთა-ღარილის ხეობა) მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრად მისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტვივადობის ავტობუსების მოძრაობა აკრძალულია.

- დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე მოცულების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებითა დასაშვებია. ამის შესახებ ინფორმაციას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს.
- კობი-ღარილის მონაკვეთზე მოძრაობა თავისუფალია. გუდაური(ფოსტა)-ღარილის მონაკვეთზე ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.
- ამავე გზის კმ134-კმ135 (ღარილის ხეობა) მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მიმოსვლისას მათი გაჩერება იკრძალება.
- აღნიშნული რეჟიმით მოძრაობა საპატრულო პოლიციის უშუალო ზედამხედველობითა და კოორდინაციით განხორციელდება. გზის დანარჩენ მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

გიორგი კვიციანი: „ნაბოში ინფორმაციის გზაზე საქართველო თანმიმდევრულ პოლიტიკას ახორციელებს“

საქართველოს ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი კვიციანმა საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „მთავარის“ პირდაპირ ეთერში ნატოს მინისტრიალზე მიღებულ კომუნიკებზე ისაუბრა.

- მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა ახორციელებს თანმიმდევრულ პოლიტიკას ნატოში ინტეგრაციის გზაზე და ამ მიმართულებით მიმდინარე რეფორმები, ისევე, როგორც ევროკავშირის მიმართულებით არსებული დღის წესრიგით გათვალისწინებული რეფორმები, ერთ კონტექსტში წარმოადგენს საქართველოს დასავლური ინტეგრაციის ძალიან მნიშვნელოვან სტრატეგიულ ნაბჯს.
- კომუნიკე საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან მასში პირველად დაფიქსირდა, რომ საქართველოს გააჩნია ყველა შესაძლო ტექნიკური ინსტრუმენტი იმისათვის, რომ მოეზადოს ნატოში გაწევრიანებისთვის, – განაცხადა მინისტრმა.



ნოესბრესი

სააკაშვილი-სარაბილიზაციო მასაჟი

ერტიფიცირებული და სტაჟირებული მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსასხროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩველ ბევრსა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლავია, სერხმლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქტიული და სიმალ-ლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

555-02-32-08. ქალაქი თბილისი



მონტენეგრო ნატოში მიიწვიას

მონტენეგრო, რომელიც ადრე ჩერნოგორიად იწოდებოდა, ნატოში მიიწვიეს. მიუხედავად რუსეთის კატეგორიული წინააღმდეგობისა, ნატოს წევრმა ყველა სახელმწიფომ მონტენეგროს ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში გაწევრიანებას მხარი დაუჭირა.

— არცერთ ქვეყანას არ აქვს უფლება, რომელიმე სახელმწიფოს ნატოში შესვლა აუკრძალოს, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა.

ამას რუსეთის მხვავე რეაქცია მოჰყვა.

— შეჩერდება ყველა ეკონომიკური

თუ სამხედრო პროგრამა, რომელიც რუსეთ-ჩერნოგორიას შორის მანამდე არსებობდა, — ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

მიუხედავად ამისა, ევროპა დათმობას არ აპირებს. მონტენეგროს ნატოში გაწევრიანებით რუსეთის პოზიციები ბალკანეთზე სუსტდება. უკვე კარგა ხანია, ნატოს წევრები არიან ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია, სლოვენია, უნგრეთი, საბერძნეთი და თურქეთი. რუსეთს ბალკანეთზე ერთადერთი პოტენციური მოკავშირეა რჩება — სერბეთი, თუმცა ის ყოველმხრივ ალყაშემორტყმულია.



განსხვავებები

მკურნალობა

- ვეკურნალო ბუხსილს (პემორი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შინაგანი მისაღები დასაწყისი. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლებით ტკივილები-საგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯვმალი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკოტიკების განსაზღვრულ შემთხვევებში, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ლივილის განმედი-ალდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალები ტერორისტების პოზიციებს ბომბავენ



ინგლისის პარლამენტმა მხარი დაუჭირა პრემიერ ქემერონის წინადადებას, რომ ბრიტანეთის სამხედრო თვითმფრინავებმა სირიაში ტერორისტების პოზიციები დაბომბონ.

მანამდე ინგლისური თვითმფრინავები ირაკში ანტიტერორისტულ ოპერაციებში მონაწილეობდნენ, პრემიერმა ქემერონმა კი ოპერაციის სირიაზე გაგრძელება მოითხოვა.

პარლამენტმა საკმაოდ ცხარე დებატების შემდეგ პრემიერს მხარი დაუჭირა. ამის შემდეგ ბრიტანულმა თვითმფრინავებმა სირიაში ტერორისტების პოზიციებზე პირველი დარტყმები განახორციელეს.

რუსეთში „კლირი ხელი“ უნდა

ლევად ცენტრის მონაცემების თანახმად, რუსების 45% მიიჩნევს, რომ ხელი-სუფლება არჩევნების გზით არ უნდა იცვლებოდეს და ხელისუფლებაში მყოფმა პირმა ძალაუფლება თავის მემკვიდრეს უნდა გადასცეს.

მოსახლეობის 32%-ის აზრით, „რკინის ხელი“ აუცილებელია, 38% კი მიიჩნევს, რომ ეს მხოლოდ კრიტიკულ სიტუაციებში უნდა მოხდეს.

ამ ეტაპზე პუტინს ალტერნატივა არ ჰყავს

ბრაზილიის კარლაპენტმა პრაზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყო



ბრაზილიის პარლამენტმა პრეზიდენტ რუსეფის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყო.

თუკი დეპუტატების ორმა მესამედმა ამას მხარი დაუჭირა, რუსეფს დროებით ხელისუფლებას ჩამოაშორებენ.

საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს სენატი პარლამენტში იმპიჩმენტის პროცედურის დამთავრებიდან 90 დღის განმავლობაში.

შოაშადა ნია თევზაქი

ტერორისტებმა რუსი ჯარები მოკლეს

იسلامური სახელმწიფოს მებრძოლებმა რუსეთის ჯარში მოკლეს, ამის ამსახველი ვიდეოკადრები კი ინტერნეტზე გავრცელდა. მასზე გამოსახულია კაცი, რომელიც აცხადებს, რომ გროზნოდანაა, ფსბ-ზე მუშაობდა და რამზან კადიროვის შევლას სთხოვს.

თავად ფსბ-ს პრესსამსახურმა მომხდარზე კომენტარი არ გააკეთა.



სომხეთი რუსეთის პოზიციით უკმაყოფილოა

მარიამ მჭედლიშვილი

რუსეთ-თურქეთის შორის წარმოქმნილი კონფლიქტის შემდეგ დაიწყო საზღვარი იმაზე, რომ ეს გავლენას იქონიებს სამხრეთ კავკასიაში არსებულ კონფლიქტებზე. ითქვამს, რომ შეიცვლება ვითარება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონშიც. უფრო ხშირად გამოითქმეობდა აზრი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის განახლებაზე, მით უმეტეს, რომ იქ სიტუაცია იძაბება რამდენიმე თვის განმავლობაში.

ყარაბაღის თემამ იმაზე ადრე წამოიწია, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო, რუსეთის მოკავშირე სომხეთი კი რუსეთს დაუპირისპირდა.

აზერბაიჯანული პრესა წერს ეუთოს მინსკის ჯგუფის უსარგებლო შეკრებაზე ბელგრადში 3 დეკემბერს:

— სომხეთის მიერ ოკუპირებული აზერბაიჯანის ტერიტორიის საკითხი შეტანილია სხდომის დღის წესრიგში, მაგრამ მის განხილვას აზრი არ აქვს



რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებას სამხრეთ კავკასიაში ახალი ინიციატივები მოჰყვა

კრემლი ამით დაკავდა სწორედ ახლა, როცა ანკარასთან გაუფუჭდა ურთიერთობები. თურქეთი კიდევ ერთი რეგიონული მოთამაშეა, რომელსაც აქვს შესაძლებლობები და ნება, მოწესრიგების პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს.

სომხური პრესა აკონკრეტებს, რომ რუსეთის ინიციატივები გულისხმობს მთიანი ყარაბაღიდან სომხეთის შეიარაღებული ძალების გამოყვანას, დევნილთა დაბრუნებასა და სომხური და აზერბაიჯანული იქაური სათვისტომოების შესვენებას.

სომხური მხარე რუსეთს სერიოზულ ბრალდებას უყენებს.

— ბოლოდროინდელმა დივერსიებმა და დაძაბულობის ხელშეწყობამ სომხეთ-აზერბაიჯანის, ასევე ყარაბაღ-აზერბაიჯანის საზღვრებზე შექმნეს ახალი ატმოსფერო. სომხეთსა და დასავლეთში გაძლიერდა რწმენა, რომ რუსეთი თავისი შეთანხმებებით აზერბაიჯანისთვის მილიარდობით ღირებულების იარაღის მიყიდვის თაობაზე ალივის თავაშვებულ მოქმედებებს უფლებას აძლევს. ამის შედეგად ეჭვის ქვეშ დგება რუსეთის, როგორც მედიატორის როლი, — წერს სომხური გამოცემა.

სომხები უარსააყენებენ ამბობს, რომ რუსეთი ცდილობს თავისი გავლენის აღდგენას გეოპოლიტიკურ პროცესებში, იზოლაციიდან გამოსვლასა და თავისი პოზიციების განმტკიცებას სამხრეთ კავკასიაში.

ეს პროცესები საქართველოსთვისაც საყურადღებოა. არსებობს იმის საშიშროება, რომ რუსეთმა საქართველოს ტერიტორია სამხედრო დანიშნულებით სატრანზიტოდ გამოიყენოს.

სამკურნალო-ლიანონსიკური სანაწარმი „კალი“ გთავაზობთ მალალსარისინი და სრულფასოვან მკურნალობას შედეგად დაავადებებზე!

- 1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, ნეა-ტკივილი შარდისას);
- 2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
- 3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
- 4) ალკოჰოლიზმი და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ლივილის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ლივილისა და სისხლის დეტოქსიკაცია უფრედულ დონეზე);
- 5) ნერვული სისტემის მონესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგვსახურებთან მალალსარისინი ექიმები. კონსულტაცია უფასოა! ☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი). მისამართი: ალაშენბლის 154. „მწვანე ოფისი“.

ქველ-სახსარითა პრობლემების:

კოქსარტროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული არტროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული არტროზის, პოლიარტროზის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მონესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციო სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარია.

☎ 599-91-37-65, 234-02-38 ქალბატონი ქეთეთი

ახალი თარბა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის ვივარტ უხსოვარი ვალუტების გახვლითი კურსი

4 დაკავშირების	აშშ დოლარი — 2.4001	ევრო — 2.541
ინგლისური სტერლინგი — 3.6117	გირვანკა	100 რუსული რუბლი — 3.5797



რეალს თასიდან მოკვეთა ემუქრება



მადრიდის რეალმა სამეფო თასის პირველ მეთექვსმეტედფინალურ მატჩში სტუმრად კადისი 3:1 დაამარცხა, მაგრამ შესაძლოა მატჩი ბათილად გამოცხადდეს და სამეფო კლუბი თასიდან მოკვეთონ.

აღნიშნულ მატჩში პირველი გოლი კადისის კარში მადრიდელთა რუსმა ლეგიონერმა, დენის ჩერიშევა გაიტანა. სწორედ რუსი ფეხბურთელის გამო, შესაძლოა, სამეფო კლუბი სამეფო თასიდან მოკვეთონ. საქმე ისაა, რომ ჩერიშევი შარშან ვილიარვალში თამაშობდა და თასზე დისკვალიფიცირებული იყო.

ჩერიშევის დისკვალიფიკაციის შესახებ რეალის ხელმძღვანელობა ინფორმირებული არ იყო არც ვილიარვალისგან, არც ფედერაციისგან და არც თავად ფეხბურთელისგან.

რეალმა აღნიშნული ინფორმაცია პირველი ტაიმის შემდგომ მიიღო და მყისვე შეცვალა ჩერიშევი.

როგორც მოსალოდნელი იყო, მოვლენები სწორედ ისე განვითარდა და კადისმა საჩივარი შეიტანა. კადისი ყველა ნორმის დაცვით მოითხოვს, სამეფო კლუბი მოიხსნას სათასო გათამაშებიდან და ორრაუნდიან ბრძოლაში გამარჯვებული სწორედ კადისი გამოცხადდეს.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ საჩივრის მიღება დაადასტურა და ახლა სამეფო კლუბის იურისტების მხრიდან წარმოდგენილ

არგუმენტაციას ელის.

რაფაელ ბენიტესი, რეალის მწვრთნელი:

— ფეხბურთელებს კარგად თამაშა და გამარჯვებას ველოდებო. გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, მათ მართლაც კარგად შეასრულეს დავალებები და 3 გოლი გაუტანეს მეტოქეს. მხოლოდ იმის აღწერა შემიძლია, რაც მოედანზე მოხდა და განვიტარდა. დენის ჩერიშევის მომენტთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ფედერაცია მიიღებს, ჩვენ უძღვრები ვართ. როგორც კი მივიღებ შეტყობინება იმის შესახებ, რომ რუსი ფეხბურთელი დისკვალიფიცირებული იყო, მაშინვე გავიყვანეთ მოედნიდან და ამას ვიდუოდებდით ასახავს. ვიმედოვნებ, ფედერაცია გაითვალისწინებს ამ გარემოებებს, ჩვენ კეთილსინდისიერად მოვიქცებით.

სამეფო თასიდან მოკვეთასთან ერთად, მადრიდულ გუნდს შესაძლოა, ფულადი სანქციებიც დაეკისროს.

ესპანურ გამოცემებზე დაყრდნობით, რეალს აუცილებლად მოუწევს თანხის გადახდა, მაგრამ ეს მხოლოდ ფედერაციის გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული.

ერთია, ეს თანხა მიზეზური იქნება და რეალი თუ არ მოკვეთეს, სიაპოვნებით გადაიხდის. ესპანური მედიის აზრით, მადრიდელს დაახლოებით 10-15.000 ევროს გადახდა მოუწევთ ბიუჯეტში.

შ. ჟ.

ახალი ქართული ნატურალური ჯემები თქვენი ოჯახისთვის

„ევროკაპიტალინვესტიგან“



არ შეიძლება განმარტოვებულ ნივთიერებას, კონსერვაციას, სავაჭარებს

სისოსხლის ვაშლის

100%-ით ნატურალური

დაზაღაბულია საქართველოში

შპს „ევროკაპიტალინვესტი“, საქართველო, 6000 ბათუმი, ლერმონტოვის ქ. №100
ტელ: +995-422-24-71-89; e-mail: infoeci777@gmail.com



მსიმი კობი ბრაინტს მხარი დაუჭირა

რამდენიმე დღის წინ ლეგენდარულმა ამერიკელმა კალათბურთელმა კობი ბრაინტმა განაცხადა, რომ კარიერის დასრულებას აპირებს.

ამ განცხადებას გამოეხმაურა მსოფლიოს 4-გზის საუკეთესო ფეხბურთელი ლიონელ მესი, რომელსაც ბრაინტთან მეგობრული ურთიერთობა აქვს.

კობი ბრაინტის გულშემოტყვივარია და ის არაერთხელ იმყოფებოდა კამპ ნოუზე. მესიმ ფეხბურთელ ბრაინტს წარმატება უსურვა.

— ყოველთვის სამწუხაროა, როდესაც ასეთი სპორტსმენი თავის კარიერას ასრულებს. კობი ძალიან კარგი ადამიანია და კალათბურთის სწორედ მისი წყალობით შემოვიყვარდა. მინდა, მას წარმატება ვუსურვო ცხოვრების ახალ ეტაპზე, — დანერა მესიმ ფეხბურთელს.

კობი ბრაინტი კარიერის დასრულებას ამ სეზონის ბოლოს აპირებს.

ბ. გ.

იემოხი

იემი ავადმყოფს ეკითხება:

— რა ადგილას იგრძენით ტკივილი?
— სათბობში.

ორმოში მგელი, მელა და ღორი ჩაცვივდნენ. მელამ ღორს გადახედა და გაიფიქრა:

„სორცი არის, როგორმე თავს გავიტანო და მანამდე იქნებ ამოსვლაც მოვახერხებო.“

მგელმა ჯერ ღორს გადახედა და გაიფიქრა:

„სორცი მაქვს.“

მერე მელას და გაიფიქრა:

„ქალიც მყავს... მოსაწყენად საქმე არ მექნება...“

ღორმა მელას და მგელს გადახედა და ეუბნება:

— ვიცი, მაინც ვერ გადავრჩები და მოდი, ერთს მაინც გიმღერებო...
ორივე დაეთანხმა. ღორმა ჭყვიტინი მორთო. მის ხმაზე მონადირეებმა მოიხიზნეს და მელა და მგელი მოკლეს. სიკვდილის წინ მგელმა ჩაილაპარაკა:

— სორცი მქონდა, ქალი მყავდა, შოუს მოწყობა მოვიხდომე და...“

სასამართლოში ბრალდებული ყვება:

— მითხრეს, რომ ცოლი მალატობდა. შოდა, ავდექი და სახლში ადრე დაბრუნდი. ვხედავ, ცოლი გახდილი ნებს, ის კი მირბის, მეც ავიდე და კარადა ვესროლე.

დაზარალებული:

— სპორტსმენი ვარ და ყოველდღე დავრბივარ, იმ დღესაც დავრბოდი და უცბად თავში კარადა მომხვდა.

— მოწვე:

— ვიჯექი ჩემთვის კარადაში...

შვილი მშობლებს ეუბნება:

— ყოველდღე თქვენი ყურება მომეზრდა. ყოველთვის დროზე უნდა მოვიდე. რომანტიკა მინდა, თავისუფლება, დალევა, გოგონებთან გართობა, მორჩა მივდივარ და ჩემი შეჩერება არაპენ დააპიროს!

კართან მისულ შვილს მამა წამოენია. შვილი მიუბრუნდა და ეუბნება:

— მამა, ხომ ვთქვი, ჩემ შეჩერებას ნუ ეცდებით!

— არა, შვილო, არ გაჩერებ, შენთან ერთად მოვიდვიარ!

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

— აბა, გიგი, დღეს რა კარგი საქციელი ჩაიდინე?

— სეირნობის დროს დავინახე, რომ ვიღაც ბიძია მატარებელს ჩამორჩა და ფეხით მისდევდა, ჩემი პიტბული ავუშვი და ბიძია მატარებელს დაენია.

დედა შვილს ეუბნება:

— აი, შვილო, ფოტოსურათი მოგიტანე. აი, ეს არის მამაშენი.

— აუ, ფოტოსურათის შვილი ვარ?!

საახალწლო აქცია კერძო სახლების მშენებლობაზე
დეველოპერული

სამშენებლო კომპანია „LAVA BUSINESS“ 10²-300\$ 350\$

(სრული თეთრი კარკასი) + ცენტრალური გათბობა საჩუქრად

პროგრამირებადი, რის გამოც უნდა აირჩიოთ სამშენებლო კომპანია „LAVA BUSINESS“:

- უმაღლესი ხარისხის მასალით წარმოებული კაპიტალური მშენებლობა (რკინა-ბეტონით და ბლოკით) უმოკლეს ვადაში;
- სამშენებლო ღირებულებაში შესული სრული არქიტექტურული მომსახურება (პროექტირება, კონსტრუქციული ნახაზი, მშენებლობის ნებართვის აღება);
- პროექტირება სრულად დამკვეთის სურვილის შესაბამისად;
- მოქნილი გადახდის სისტემა;
- კომპანიის შიდა განვადება უზრუნველყოფისა და ბანკებთან ურთიერთობის გარეშე;
- გაფორმებული იურიდიული ხელშეკრულება (ხელშეკრულების საფუძველზე დამკვეთის უფლებების მაქსიმალური დაცვა);
- დამკვეთის სურვილის შემთხვევაში მშენებლობის სადაზღვევო გარანტია.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
598 98 51 50; 598 98 51 51
ან მოგვწერეთ: lavabusiness.info@gmail.com
Facebook: LAVA Business